შპს „ასკანელი ძმები“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 7

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება..... 8

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 9

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება..... 10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 11-31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ასკანელი ძმების“-ის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ასკანელი ძმების“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებასა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აბზაცში აღწერილი განმარტებისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულებულია მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება.

კომპანიის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მე-4 პუნქტში ასახული ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაციის წარდგენა. ამ მიზეზის გამო, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის ჩასწორება ამ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების, გაუნაწილებელი მოგებისა და ცვეთის ხარჯების წარდგენილ მონაცემებთან დაკავშირებით.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია „აუდიტორის პასუხიმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ აბზაცში. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“-ს (IESBA) შესაბამისად და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ეთიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, ჩვენ ვართ კომპანიისაგან დამოუკიდებლები და ასევე, ჩვენი ქმედებები შესაბამისობაშია IESBA კოდექსით განსაზღვრულ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი დასკვნა, ფინანსური ანგარიშგების შესახებ, არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს. ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- არის შესაბამისობაში ფინანსურ ანგარიშგებასთან და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე ისეთი შიდა კონტროლის შექმნაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.
ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ; გასცეს ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი პრინციპი მანამ, სანამ კომპანიის ხელმძღვანელობა არ გადაწყვეტს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოდ მოცემული ქმედებებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, რომ მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი

განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში გვევალება ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადექვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი მსჯელობები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო და კომპანია იძულებული გახდეს შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას

სხვა საკითხებთან ერთად მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი
ირმა ხაჩიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-683479)
შპს „გროუ კონსალტინგი“ (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-423183)

2022 წლის 30 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

"GROW CONSULTING" LLC
406322698

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვ
(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	14 436 246	7 334 595
აქტივი გამოყენების უფლებით	5	3 007 161	2 993 619
არამატერიალური აქტივები	6	59 927	36 955
გაცემული სესხები	8	30 726 014	516 144
სულ გრძელვადიანი აქტივები		**48 229 349**	**10 881 313**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	38 516 278	23 255 327
გაცემული სესხები	8	7 677 148	68 507
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	29 427 003	23 466 907
ფული და ფულის ექვივალენტები	10	8 530 374	24 063 998
სულ მიმდინარე აქტივები		**84 150 804**	**70 854 739**
სულ აქტივები		**132 380 152**	**81 736 052**
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		2 000	2 000
გაუნაწილებელი მოგება		56 864 234	39 842 716
სხვა რეზერვები		84 000	84 000
სულ კაპიტალი		**56 950 234**	**39 928 716**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური ვალდებულება	11	1 683 386	1 050 340
საიჯარო ვალდებულება	5	2 361 967	2 726 070
სესხები	12	16 589 257	165 103
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**20 634 609**	**3 941 513**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	38 501 262	34 897 242
ანარიცხები		-	1 777 994
საიჯარო ვალდებულება	5	1 074 227	800 325
ფინანსური ვალდებულება	11	1 210 444	278 006
სესხები	12	14 009 377	112 256
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**54 795 310**	**37 865 823**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**132 380 152**	**81 736 052**

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი — მთ. ბუღალტერი

ირაკლი უგლავა ---------- ლანა ცხვირავაშვილი ----------

მოგება-ზარალი დასხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	14	85 187 132	62 208 165
თვითღირებულება	15	(55 790 251)	(41 073 659)
საერთო მოგება		**29 396 881**	**21 134 506**
მარკეტინგის და მიწოდების ხარჯი	16	(1 949 067)	(2 063 283)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(11 130 686)	(9 744 284)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი		(70 933)	-
მოთხოვნების გაუფასურება/რივერსი	-	662 681	1 418 925
სხვა ხარჯები		(576 677)	(93 774)
ფინანსური შემოსავალი		2 900 935	120 445
ფინანსური ხარჯი	18	(1 184 218)	(766 336)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი		(1 281 230)	681 923
არასაოპერაციო ხარჯები/შემოსავლები წმინდა		253 832	(199 308)
მოგება დაბეგვრამდე		**17 021 518**	**10 488 815**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		**17 021 518**	**10 488 815**
სხვა სრული შემოსავალი			-
სულ წლის სრული შემოსავალი		**17 021 518**	**10 488 815**

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი — მთ. ბუღალტერი

ირაკლი უგლავა ---------- ლანა ცხვირავაშვილი ----------

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი	68 269 598	94 287 651
შეძენილ პროდუქტებში გადახდილი თვითღირებულება	(60 395 268)	(53 755 011)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(6 765 450)	(5 277 101)
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(2 502 376)	(9 909 839)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული თანხები	(4 593)	(36 543)
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი	4 470	119 378
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	(733 139)	(440 727)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(2 126 758)**	**24 987 808**
გადახდილი საპროცენტო ხარჯი	(396 442)	(206 162)
სულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი	**(2 523 200)**	**24 781 646**
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		**-**
ძირითადი საშუალებების შეძენა	(6 487 304)	(1 297 665)
სესხის გაცემა	(37 576 327)	(624 995)
სესხის დაფარვა	1 981 000	
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(42 082 632)**	**(1 922 661)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		**-**
აღებული სესხები	33 842 595	-
ნასესხები სახსრების დაფარვა	(3 475 743)	(2 754 637)
ფინანსური ვალდებულების დაფარვა (ლიზინგი)	(629 868)	(1 616 611)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**29 736 984**	**(4 371 247)**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	(664 776)	(247 263)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	**(15 533 624)**	**18 240 475**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	**24 063 998**	**5 823 523**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	**8 530 374**	**24 063 998**

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი — მთ. ბუღალტერი

ირაკლი უგლავა ---------- ლანა ცხვირავაშვილი ----------

11-31 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
2020 წლის 1 იანვარი	**2 000**	**29 353 901**	**84 000**	**29 439 901**
მოგების განაწილება				-
სრული შემოსავალი		10 488 815		10 488 815
2020 წლის 31 დეკემბერი	**2 000**	**39 842 716**	**84 000**	**39 928 716**
მოგების განაწილება				-
სრული შემოსავალი		17 021 518		17 021 518
2021 წლის 31 დეკემბერი	**2 000**	**56 864 234**	**84 000**	**56 950 234**

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ირაკლი უგლავა ----------

მთ. ბუღალტერი

ლანა ცხვირავაშვილი ----------

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვ
(ლარში)

	შენიშვნა	**2021**	**2020**
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	14 436 246	7 334 595
აქტივი გამოყენების უფლებით	5	3 007 161	2 993 619
არამატერიალური აქტივები	6	59 927	36 955
გაცემული სესხები	8	30 726 014	516 144
სულ გრძელვადიანი აქტივები		**48 229 349**	**10 881 313**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	38 516 278	23 255 327
გაცემული სესხები	8	7 677 148	68 507
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	29 427 003	23 466 907
ფული და ფულის ექვივალენტები	10	8 530 374	24 063 998
სულ მიმდინარე აქტივები		**84 150 804**	**70 854 739**
სულ აქტივები		**132 380 152**	**81 736 052**
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		2 000	2 000
გაუნაწილებელი მოგება		56 864 234	39 842 716
სხვა რეზერვები		84 000	84 000
სულ კაპიტალი		**56 950 234**	**39 928 716**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური ვალდებულება	11	1 683 386	1 050 340
საიჯარო ვალდებულება	5	2 361 967	2 726 070
სესხები	12	16 589 257	165 103
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**20 634 609**	**3 941 513**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	38 501 262	34 897 242
ანარიცხები		-	1 777 994
საიჯარო ვალდებულება	5	1 074 227	800 325
ფინანსური ვალდებულება	11	1 210 444	278 006
სესხები	12	14 009 377	112 256
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**54 795 310**	**37 865 823**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**132 380 152**	**81 736 052**

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი მთ. ბუღალტერი

ირაკლი უგლავა ---------- ლანა ცხვირავაშვილი ----------

მოგება-ზარალი დასხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	**2021**	**2020**
ამონაგები	14	85 187 132	62 208 165
თვითღირებულება	15	(55 790 251)	(41 073 659)
საერთო მოგება		**29 396 881**	**21 134 506**
მარკეტინგის და მიწოდების ხარჯი	16	(1 949 067)	(2 063 283)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(11 130 686)	(9 744 284)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი		(70 933)	-
მოთხოვნების გაუფასურება/რივერსი	-	662 681	1 418 925
სხვა ხარჯები		(576 677)	(93 774)
ფინანსური შემოსავალი		2 900 935	120 445
ფინანსური ხარჯი	18	(1 184 218)	(766 336)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი		(1 281 230)	681 923
არასაოპერაციო ხარჯები/შემოსავლები წმინდა		253 832	(199 308)
მოგება დაბეგვრამდე		**17 021 518**	**10 488 815**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		**17 021 518**	**10 488 815**
სხვა სრული შემოსავალი			-
სულ წლის სრული შემოსავალი		**17 021 518**	**10 488 815**

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ირაკლი უგლავა ----------

მთ. ბუღალტერი

ლანა ცხვირავაშვილი ----------

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი	68 269 598	94 287 651
შეძენილ პროდუქტებში გადახდილი თვითღირებულება	(60 395 268)	(53 755 011)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(6 765 450)	(5 277 101)
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(2 502 376)	(9 909 839)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული თანხები	(4 593)	(36 543)
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი	4 470	119 378
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	(733 139)	(440 727)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(2 126 758)**	**24 987 808**
გადახდილი საპროცენტო ხარჯი	(396 442)	(206 162)
სულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი	**(2 523 200)**	**24 781 646**
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		**-**
ძირითადი საშუალებების შეძენა	(6 487 304)	(1 297 665)
სესხის გაცემა	(37 576 327)	(624 995)
სესხის დაფარვა	1 981 000	
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(42 082 632)**	**(1 922 661)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		**-**
აღებული სესხები	33 842 595	-
ნასესხები სახსრების დაფარვა	(3 475 743)	(2 754 637)
ფინანსური ვალდებულების დაფარვა (ლიზინგი)	(629 868)	(1 616 611)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**29 736 984**	**(4 371 247)**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	(664 776)	(247 263)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	**(15 533 624)**	**18 240 475**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	**24 063 998**	**5 823 523**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	**8 530 374**	**24 063 998**

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ირაკლი უგლავა ----------

მთ. ბუღალტერი

ლანა ცხვირავაშვილი ----------

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	**გაუნაწილებელი მოგება**	**სხვა რეზერვები**	**სულ**
2020 წლის 1 იანვარი	**2 000**	**29 353 901**	**84 000**	**29 439 901**
მოგების განაწილება				-
სრული შემოსავალი		10 488 815		10 488 815
2020 წლის 31 დეკემბერი	**2 000**	**39 842 716**	**84 000**	**39 928 716**
მოგების განაწილება				-
სრული შემოსავალი		17 021 518		17 021 518
2021 წლის 31 დეკემბერი	**2 000**	**56 864 234**	**84 000**	**56 950 234**

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ირაკლი უგლავა ----------

მთ. ბუღალტერი

ლანა ცხვირავაშვილი ----------

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ასკანელი ძმები“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია საქართველოში 1998 წლის 11 ივნისს. იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი არის - თბილისი, ისნის რაიონი, კახეთის გზატკეცილი # 110ა. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 200040222.

კომპანიის მმართველი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო, თავმჯდომარე - ჯიმშერ ჩხაიძე,

კომპანიის მიმდინარე საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი - ირაკლი უგლავა.

კომპანია საქმიანობას ახორციელებს კვების მრეწველობის დარგში, მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ღვინომასალებისა და სპირტის წარმოება, რეალიზაცია.

კომპანიის პარტნიორებს წარმოადგენდნენ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
• შპს ასკანელი ვაინერი & დისტილერი - 45%; • გოჩა ჩხაიძე - 55%;	• შპს ასკანელი ვაინერი & დისტილერი - 20%; • გოჩა ჩხაიძე - 55%; • ზურაბ ჩხაიძე - 25%.	• შპს ასკანელი ვაინერი & დისტილერი - 20%; • გოჩა ჩხაიძე - 55%; • ზურაბ ჩხაიძე - 25%.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. საქართველოს გააჩნია შედარებით სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა დაბალი გადასახადებით და რეგულაციებით.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს იღებს, რათა მხარი დაუჭიროს კომპანიის საქმიანობის მდგრადობასა და განვითარებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

შესაბამისობა

კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მეორე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანიას მოეთხოვება წლიური ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო აუდიტი.

უწყვეტი ფუნქციონირება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. 2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაცია შეიჭრა და საომარი მოქმედებები გააჩაღა უკრაინაში. ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის საომარი მოქმედებები არ შეწყვეტილა და უფრო ფართომაშტაბიანი სახე მიიღო. კომპანიის ამონაგების არსებითი ნაწილი (83%-მდე) ფორმირდება რუსეთის და უკრაინის ბაზარზე პროდუქციის მიწოდებით.

ექსპორტზე რეალიზაციის წილის ძირითადი ქვეყნები	2021 რეალიზაცია	2021 წილი რეალიზაციაში	2020 რეალიზაცია	2020 წილი რეალიზაციაში
რუსეთი	63 721 827	76%	44 340 758	72%
უკრაინა	5 568 839	7%	7 544 260	12%

საომარი მოქმედებების დაწყებისას მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის მიწოდება, თუმცა მოგვიანებით ის ნაწილობრივ ან მთლიანად აღდგა. ვინაიდან რუსული კომპანიებისა და ბანკების ნაწილზე გავრცელებულია საერთაშორისო სანქციები, მოსალოდნელია რუსეთის ფედერაციაში დაფუძნებული კომპანიების ფინანსური სტაბილურობა ეჭვქვეშ დადგეს, რაც თავის მხრივ ზრდის რისკს ამ კომპანიებმა ვერ შეასრულონ კომპანიის წინაშე არსებული ვალდებულებები. აღნიშნული რისკი კომპანიის გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვანი ფაქტორია.
ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების დაშვება არის შესაფერისი და იგი გააგრძელებს პოტენციური გავლენების მონიტორინგს და გადადგამს ყველა შესაძლებელ ნაბიჯს უარყოფითი გავლენების თავიდან ასაცილებლად. შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის მომზადებულია საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების საფუძველზე.

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (შემდეგში "GEL"). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაფასებიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალის „არასაოპერაციო ხარჯები/შემოსავლები წმინდა“-ს მუხლში“.

წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული.

უცხოურ ვალუტის კონვერტაციისთვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი ქართულ ლართან მიმართებით იყო შემდეგი:

გაცვლითი კურსი	**31 დეკემბერი 2021**	**31 დეკემბერი 2020**
1 USD	3.0976	3.2766
1 EUR	3.5040	4.0233
100 RUB	4.1479	4.4031

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელთაც აკლდება დაგროვილი ცვეთის თანხა და საჭიროებისამებრ გაუფასურების ანარიცხები. მიწა ფასდება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ზარალით.

თვითღირებულება მოიცავს იმ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენას. საწარმოს მიერ შექმნილი აქტივების თვითღირებულება ასევე მოიცავს მასალების და პირდაპირი შრომის ღირებულებას, ყველა სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას მათი წინასწარგანზრახული გამოყენებისთვის, საგნების დემონტაჟისა და მათი ლოკაციის ადგილიდან გატანის ხარჯებს და კაპიტალიზებად სესხით სარგებლობის ხარჯებს.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივის სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და დანახარჯების სანდოდ და საიმედოდ შეფასება. მიმდინარე რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების

მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა

მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	20 წელი
მანქანა-დანადგარები	10 წელი
ინვენტარი	5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	4 წელი
ავტოტრანსპორტი	5 წელი
არამატერიალური აქტივები	5 წელი

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტების საკონტრაქტო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. ამ დროს მათ სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას. მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შესყიდვასთან პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური და ამორტიზებული ღირებულებით ასახული. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების ბუნებასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება მათი თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ფინანსურ აქტივებს ძირითადად შეადგენს ფული და ფულის ექვივალენტები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც მოთხოვნები ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები, გარდა მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისა, გაუფასურებაზე მოწმდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ზარალის დადგომის შემთხვევას ან შემთხვევებს გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივისათვის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება გულისხმობდეს შემდეგს:

- კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე; ან
- კონტრაქტის დარღვევა, როგორიცაა დეფოლტი ან გადახდისუუნარობა საპროცენტო ან ძირითად თანხებთან მიმართებაში; ან
- სავარაუდოა, რომ მსესხებელმა გამოაცხადოს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობა; ან
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულეების გამო.

ფინანსური აქტივების ზოგიერთი კატეგორიის შემთხვევაში, როგორიცაა სავაჭრო მოთხოვნები, აქტივები გაუფასურებაზე მოწმდება ჯგუფურად მაშინაც კი, თუ ინდივიდუალურად შეფასებისას დადგინდა, რომ გაუფასურებული არ არის. მოთხოვნების პორტფელის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება იყოს კომპანიის წარსული გამოცდილება გადახდების აკრეფასთან დაკავშირებით, ან ქვეყნის ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების მკვეთრი გაუარესება.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ გაუფასურების ხარჯი შემდგომ პერიოდში შემცირდა და ეს კლება ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება ადრე აღრიცხული გაუფასურების ხარჯის გაუქმება მოგება-ზარალში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემდეგ არ აჭარბებდეს ამორტიზებულ ღირებულებას გაუფასურების აღიარების გარეშე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. თუ კომპანიამ მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც სხვა მხარეს გადასცა და არც შეინარჩუნა და კვლავაც აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, კომპანია აღიარებს მასში შენარჩუნებულ წილს და მასთან დაკავშირებულ, თანხების გადახდის პოტენციურ ვალდებულებას. თუ კომპანიამ შეინარჩუნა ფინანსური აქტივის მფლობელობის

არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ის განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და აგრეთვე აღიარებს აღებული უზრუნველყოფილი სესხებიდან მიღებულ შემოსავალს.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მოგებაში ან ზარალში ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებს და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები იფარება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარებული და შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და თანხას მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაუფასურების გამოკლებით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება ეფუძნება ხელმძღვანელობის შეფასებას ინდივიდუალური კლიენტისგან მოთხოვნის ამოღების ალბათობასთან. კლიენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა, ან გადახდისუუნარობა იმის მაჩვენებლებია, რომ მოთხოვნა პოტენციურად გაუფასურებულია.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი
გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და

წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას.

ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის (ოფშორი) მქონე იურისდიქციებში, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები იბეგრება გადახდის წყაროსთან.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) ავანსის მიღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. გადასახდელი დღგ მცირდება ჩასათვლელი დღგ-ის თანხით, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე.

საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა

საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა მნიშვნელოვნად ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული და შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს საგადასახადო ორგანოების მხრიდან გეგმიური თუ კამერალური შემოწმების დროს. საგადასახადო შემოწმებას შეიძლება დაექვემდებაროს საგადასახადო შემოწმების წლამდე წინა სამი კალენდარული წლის პერიოდები. კომპანია დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება საგადასახადო კანონმდებლობის მისეული გაგების საფუძველზე.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებსა და დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება როგორც ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობიდან დადგენილი გასაყიდი ფასით, შემცირებული რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (რომლებიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობით კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები შეზღუდულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული გაუნაწილებელი მოგების ნაშთით. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის რეალიზებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მყიდველისათვის კონტროლის გადაცემის შედეგად.

ანარიცხები

ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

საქონლის რეალიზაცია

რეალიზაცია აღიარებულია მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებულია კლიენტისთვის, კლიენტს სრული დისკრეციული უფლება აქვს საქონელზე, და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულებები, რომლებიც გავლენას იქონიებს კლიენტის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაზიდულია კლიენტთან და მან მიიღო საქონელი ან კომპანიას აქვს დასაბუთებული მტკიცებულება იმისა, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილდა.

თანამშრომელთა ანაზღაურება

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა შესაბამისი მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს.

შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და შემდგომ პერიოდებში, როდესაც ასეთ ცვლილებებს ექნებათ გავლენა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე მსჯელობებს. მსჯელობებს, რომელსაც შეუძლია გავლენის

მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, არის:

- ***დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება***

ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. მსჯელობა გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს ოპერაციების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრება თუ არა. მსჯელობა ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, არის თუ არა პირობები საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. განსჯის საფუძველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზია, რაც კომპანიის მიერ გამოვლინდა საქართველოში მსგავსი ტიპის სესხების საბაზრო პირობების საფუძველზე.

- ***ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა***

  ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მსჯელობის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიან მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივებისგან კომპანიისთვის სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი.

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწის ნაკვეთი და შენობები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	**375 055**	**5 798 785**	**897 067**	**193 411**	**538 780**	**7 803 099**
შეძენა	356 958	794 463	303 877	128 992	1 304 623	2 888 913
გასვლა	0	-2 500	-7 306	0	0	-9 806
2020 წლის 31 დეკემბერი	**732 013**	**6 590 749**	**1 193 638**	**322 403**	**1 843 403**	**10 682 206**
შეძენა	974 956	6 183 486	854 171	87 622	747 144	8 847 378
გასვლა	0	0	-19 760	-2 881	0	-22 641
2021 წლის 31 დეკემბერი	**1 706 968**	**12 774 234**	**2 028 049**	**407 145**	**2 590 547**	**19 506 943**
დაგროვილი ცვეთა						
2019 წლის 31 დეკემბერი	**-375 055**	**-1 318 682**	**-162 054**	**-108 879**	**-163 295**	**-2 127 965**
წლის ცვეთის ხარჯი	-106 197	-700 446	-157 644	-39 601	-218 680	-1 222 568
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	0	0	2 922	0	0	2 922
2020 წლის 31 დეკემბერი	**-481 252**	**-2 019 128**	**-316 775**	**-148 481**	**-381 975**	**-3 347 611**
წლის ცვეთის ხარჯი	-150 032	-873 582	-234 420	-58 997	-414 787	-1 731 817
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	0	0	8 427	304	0	8 731
2021 წლის 31 დეკემბერი	**-631 284**	**-2 892 710**	**-542 768**	**-207 174**	**-796 762**	**-5 070 697**
ნეტო საბალანსო ღირებულება						
2020 წლის 31 დეკემბერი	**1 213 265**	**8 609 876**	**1 510 413**	**470 883**	**2 225 379**	**7 334 595**
2021 წლის 31 დეკემბერი	**1 075 684**	**9 881 525**	**1 485 281**	**199 971**	**1 793 785**	**14 436 246**

ძირითადი საშუალებები მიმართულია კომპანიის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფაში

5. აქტივი გამოყენების უფლებით

კომპანია იჯარით იღებს მიწასა და შენობა-ნაგებობებს საოპერაციო საქმიანობისათვის. იჯარის ხელშეკრულებები გაფორმებულია 5 წლის ვადით. აქტივები გამოყენების უფლების ფორმით, ძირითადი ერთეულების კლასის მიხედვით, იშლება შემდეგნაირად:

ცხრილი გვიჩვენებს აქტივი გამოყენების უფლებით მოძრაობას

	2021	2020
აქტივი გამოყენების უფლებით 1 იანვარი ნარჩენი ღირებულება	**2 993 619**	**748 522**
იჯარის გადასახდელების და საიჯარო ვადის მოდიფიკაციის ეფექტი	932 747	2 993 502
ცვეთა	-919 205	-748 405
აქტივი გამოყენების უფლებით 31 დეკემბერი ნარჩენი ღირებულება	**3 007 161**	**2 993 619**
ისტორიული ღირებულება	4 674 772	3 742 024
დაგროვილი ცვეთა	-1 667 611	-748 405
	0	0
ცხრილი გვიჩვენებს საიჯარო ვალდებულების მოძრაობას	**2021**	**2020**

საიჯარო ვალდებულება 1 იანვარი	**3 526 395**	**1 256 239**
იჯარის გადასახდელების და საიჯარო ვადის მოდიფიკაციის ეფექტი	932 747	2 993 502
საპროცენტო ხარჯი	231 322	199 316
გადახდა	-901 907	-999 641
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი	-352 363	76 978
საიჯარო ვალდებულება 31 დეკემბერი	**3 436 194**	**3 526 395**
მოკლევადიანი ვალდებულება	1 074 227	800 325
გრძელვადიანი ვალდებულება	2 361 967	2 726 070

იჯარის ხელშეკრულებები არ გულისხმობს რაიმე სახის პირობებს (კოვენანტებს) საკუთრების უფლებების დაცვის გარდა საიჯარო აქტივებში, რომელსაც ფლობს მეიჯარე. საიჯარო აქტივები არ შეიძლება, გამოყენებული იქნას უზრუნველყოფად სესხებზე. მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის ხარჯმა 2021 და 2020 წლებში შეადგინა 50 517 ლარი და 79 628 ლარი.

6. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	**ლიცენზიები**	**სულ**
2019 წლის 31 დეკემბერი	**13 770**	**13 770**
შეძენა	4 368	24 368
2020 წლის 31 დეკემბერი	**38 137**	**38 137**
შეძენა	23 366	23 366
2021 წლის 31 დეკემბერი	**61 503**	**61 503**
დაგროვილი ცვეთა		
2019 წლის 31 დეკემბერი	**(788)**	**(788)**
წლის ცვეთის ხარჯი	(394)	(394)
2020 წლის 31 დეკემბერი	**(1 182)**	**(1 182)**
წლის ცვეთის ხარჯი	(394)	(394)
2021 წლის 31 დეკემბერი	**(1 576)**	**(1 576)**
ნეტო საბალანსო ღირებულება		-
2021 წლის 1 იანვარი	**36 955**	**36 955**
2021 წლის 31 დეკემბერი	**59 927**	**59 927**

7. მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები მოიცავს:

	2021	2020
მზა პროდუქცია	24 138 676	14 282 210
ნედლეული და მასალები	13 585 545	8 299 964
დაუმთავრებელი წარმოება	792 057	673 154
სულ მარაგები	**38 516 278**	**23 255 327**

მარაგები მიმართულია კომპანიის მიერ აღებული სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფაში.

8. გაცემული სესხები

გაცემული სესხები	**ვალუტა**	**ეფექტური საპროცენტო განაკვეთი**	**ვადა**	**2021**	**2020**
გოჩა ჩხაიძე*	USD	8.7%	2022	5 189 040	253 950
გოჩა ჩხაიძე*	USD	8.5%	2023	1 623 030	-
შპს ასკანელი ვაინერი & დისტილერი*	GEL	10.5%	2026	22 165 259	-
სს თრიი ენდ მეთალ ფროდაქშენ*	GEL	10.5%	2026	7 012 012	-
შპს ქართველი	USD	8.3%	2023	269 181	-
შპს ასკანელი აგრო*	GEL	7.7%	2026	2 136 662	262 193
არადაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხები	USD	13.8%	2022	7 979	-
არადაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხები	USD	8%-8.5%	2021	-	58 052
არადაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხები	GEL	14.0%	2021	-	10 456
სულ სესხები				**38 403 162**	**584 651**

* დაკავშირებული მხარეები

სესხის ვადიანობა

	2021	2020
მოკლევადიანი სესხები	7 677 148	68 507
გრძელვადიანი სესხები	30 726 014	516 144
სულ სესხად გაცემული თანხები	**38 403 162**	**584 651**

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
მომსახურებიდან და მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	28 273 399	14 182 368
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	6 086 978	8 789 020
საეჭვო ვალების ანარიცხები	(6 374 390)	(7 037 070)
საგადასახადო და სხვა მოთხოვნები	1 921 979	7 532 589
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**29 907 967**	**23 466 907**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის ანარიცხი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	გაუფასურების განაკვეთი	გაუფასურება 31.12.2021
მიმდინარე			
0- 90 დღით ვადაგადაცილებული	25 651 318	0%	-
91 - 180 დღით ვადაგადაცილებული	1 583 548	10%	158 355
181 - 360 დღით ვადაგადაცილებული	1 818 953	50%	909 477
360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	5 306 558	100%	5 306 558
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**34 360 377**		**6 374 390**
გაუფასურების რეზერვი	(6 374 390)		
წმინდა მოთხოვნები	**27 985 988**		

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის ანარიცხი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	გაუფასურების განაკვეთი	გაუფასურება 31.12.2020
მიმდინარე			
- 30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული	6 345 896	0%	-
- 30 - 90 დღით ვადაგადაცილებული	5 605 675	0%	-
- 91 - 180 დღით ვადაგადაცილებული	3 771 745	10%	377 174
- 181 - 360 დღით ვადაგადაცილებული	1 176 355	50%	588 177
- 360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	6 071 718	100%	6 071 718
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**22 971 389**		**7 037 070**
გაუფასურების რეზერვი	(7 037 070)		
წმინდა მოთხოვნები	**15 934 318**		

10. ფული და ფულის ექვივალენტები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს:

	2021	2020
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	8 446 279	23 952 375
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	54 846	46 722
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	29 249	64 900
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**8 530 374**	**24 063 997**

11. ფინანსური ვალდებულებები

მომავალი საიჯარო გადასახადების მთლიანი თანხა	**2021**	**2020**
ერთ წლამდე პერიოდში	1 210 444	278 006
საიჯარო გადასახადი	1 561 797	535 345
მათ შორის ფინანსური ხარჯი	(351 353)	(257 339)
1-5 წლამდე პერიოდში	1 683 386	1 050 340
საიჯარო გადასახადი	1 974 922	1 296 240
მათ შორის ფინანსური ხარჯი	(291 536)	(245 900)
5 წლის შემდეგ	-	-
საიჯარო გადასახადი	-	-
მათ შორის ფინანსური ხარჯი	-	-
ფინანსური იჯარის ვალდებულება	2 893 830	1 328 347
მოკლევადიანი	1 210 444	278 006
გრძელვადიანი	1 683 386	1 050 340

კომპანიას სს თიბისი ლიზინგთან გაფორმებული აქვს სალიზინგო ხელშეკრულება. ლიზინგის საგანს წარმოადგენს საწარმოო დანადგარები და ინვენტარი. ხელშეკრულების ვადის ბოლოს ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესრულებისა და ლიზინგის მთლიანი ფასის სრულად გადახდის შემთხვევაში ლიზინგის საგანი გადადის ლიზინგის მიმღების საკუთრებაში დამატებითი საზღაურის გადახდის გარეშე. ლიზინგის ქვე-კონტრაქტების მიხედვით ლიზინგის საზღაურის გადახდა ხორციელდება ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად და არ ექვემდებარება გაზრდას. 2021 წლის ბოლოს ფინანსური იჯარის ვალდებულებები უზრუნველყოფილია ამავე ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული აქტივებით.

12. სესხები

მიღებული სესხები	**ვალუტა**	**საპროცენტო განაკვეთი**	**ვადა**	**2021**	**2020**
თიბისი ბანკი	GEL	15.5%	2025	1 069 572	
თიბისი ბანკი	USD	8.6%	2026	2 999 473	
თიბისი ბანკი	USD	10.2%	2026	6 391 904	
თიბისი ბანკი	GEL	15.0%	2022	10 411 328	
თიბისი ბანკი	GEL	15.0%	2024	8 000 000	
თიბისი ბანკი	USD	8.5%	2022	722 641	
შპს ანასეულის კომბინატი	GEL	12.0%	2026	851 332	
თიბისი ბანკი	USD	8.5%	2023	152 383	277 358
სულ სესხები				**30 598 633**	**277 358**

აღნიშნული სესხების უზრუნველყოფაში მიმართულია კომპანიის ძირითადი საშუალებები და მარაგები

სესხის ვადიანობა

	2021	**2020**
მოკლევადიანი სესხები	14 009 377	112 256
გრძელვადიანი სესხები	16 589 257	165 103
სულ ნასესხების სახსრები	**30 598 633**	**277 358**

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021	**2020**
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	9 739 491	4 758 340
მიღებული ავანსები	28 541 269	30 077 845
სხვა ვალდებულებები	220 502	61 058
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**38 501 262**	**34 897 242**

14. ამონაგები

	2021	**2020**
მზა პროდუქციის რეალიზაცია	83 493 287	61 825 970
ნედლეულის რეალიზაცია	1 424 521	366 830
მომსახურების რეალიზაცია	269 323	15 366
სულ შემოსავლები	**85 187 132**	**62 208 165**

მზა პროდუქციის რეალიზაცია	**2021**	**2020**
ადგილობრივი ბაზარი	3 257 369	1 656 530
ექსპორტი	80 235 918	60 169 441
სულ მზა პროდუქციის რეალიზაცია	**83 493 287**	**61 825 970**

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2021	**2020**
მზა პროდუქციის რეალიზაციის თვითღირებულება	54 756 940	40 740 795
ნედლეულის რეალიზაციის თვითღირებულება	1 033 310	332 865
სულ შემოსავლები	**55 790 251**	**41 073 659**

16. მარკეტინგის და მიწოდების ხარჯი

	2021	**2020**
მარკეტინგული მომსახურება	1 260 170	1 360 409
მიწოდების სხვა ხარჯები	32 307	160 993
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	656 590	515 177
სავაჭრო ფართის იჯარა	-	26 704
სულ მიწოდების ხარჯი	**1 949 067**	**2 063 283**

17. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

	2021	**2020**
შრომის ანაზღაურება	6 337 756	4 417 968
ძირითადი საშუალებების ცვეთა და ამორტიზაცია	1 283 287	1 343 489
საგადასახადო ხარჯი	1 130 964	-
წარმომადგენლობითი ხარჯი	570 246	330 947
მარაგების ჩამოწერა	375 993	105 484
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	315 289	180 709
ლაბორატორიის ხარჯები	314 195	158 347
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	183 707	138 414
საკონსულტაციო ხარჯი	169 367	257 037
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	116 423	76 377
დეგუსტაციის ხარჯი	80 668	-
საბანკო ხარჯი	67 529	63 386
მივლინების ხარჯები	60 307	35 866

საიჯარო ხარჯები	50 517	79 628
სასაქონლო მატერიალური მარაგების დანაკლისის ხარჯი	42 965	1 469 129
დაზღვევის ხარჯი	19 010	8 474
საკანცელარიო ხარჯი	11 663	8 089
პროდუქციის რეგისტრაცია/სერტიფიცირებასთან დაკავშირებული ხარჯი	800	54 386
ანარიცხები	-	1 016 555
სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	**11 130 686**	**9 744 284**

18. ფინანსური ხარჯები

	2021	**2020**
ფინანსური ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	398 042	671 672
სასესხო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	786 176	94 664
სულ ფინანსური ხარჯები	**1 184 218**	**766 336**

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს კომპანიის მფლობელებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას.
დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ.
დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ, იურიდიულ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიას გააჩნია შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

2021 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან დასაფარი ნაშთები იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო მოთხოვნების მთლიანი თანხა	3 395 994
სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	2 930 620
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5 643 890
გაცემული სესხები	35 839 598
მიღებული სესხები	846 600
	48 656 702

2020 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან დასაფარი ნაშთები იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო მოთხოვნების მთლიანი თანხა	408 324
სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	2 333 099
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 372 268

გაცემული სესხები	252 132
მიღებული სესხები	-
	5 365 824

შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარეები
საქონლის გაყიდვა	1 486 486
საპროცენტო შემოსავალი	3 471 723
ტრანსპორტირებისა და იჯარის ხარჯები	2 731 034
ნედლეულის, სხვა მასალებისა და მომსახურების შესყიდვა	17 154 346
სხვა მომსახურებები	-
ფინანსური ხარჯები	-
	24 843 588

შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარეები
საქონლის გაყიდვა	524 808
საპროცენტო შემოსავალი	1 820
ტრანსპორტირებისა და იჯარის ხარჯები	3 097 375
ნედლეულის, სხვა მასალებისა და მომსახურების შესყიდვა	17 317 160
სხვა მომსახურებები	34 481
ფინანსური ხარჯები	-
	20 975 644

ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია

ხელმძღვანელი პირების ხელფასები, ბონუსები და სხვა არაფულადი სარგებელი შესულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და 2021 წლის განმავლობაში შეადგენს 428,335 ლარს, ხოლო 2020 წელს 2,022,109 ლარს.

20. ფინანსური ინსტრუმენტები, ფინანსური ვალდებულებები

(ლარი)	**ფინანსური ვალდებულებები**	**სავაჭრო ვალდებულებები**	**სულ ფინანსური ვალდებულებები**
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	30 598 633	9 739 491	**40 338 125**
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	277 358	4 758 340	**5 035 698**

ფინანსური აქტივები

(ლარი)	**ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები**	**სავაჭრო მოთხოვნები**	**გაცემული სესხები**	**სულ ფინანსური აქტივები**
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	8 530 374	28 273 399	7 677 148	**44 480 922**
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	24 063 997	14 182 368	68 507	**38 314 873**

21. საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს ამ რისკს, ძირითადად შედგება სავაჭრო მოთხოვნებისა და ფულისა და ფულის ექვივალენტებისგან. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის პროდუქციის საკრედიტო პირობებით გაყიდვების და სხვა კონტრაგენტებთან ტრანზაქციების შედეგად.

ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიას ზარალის დიდი რისკი, გარდა უკვე აღრიცხული რეზერვებისა, არ ემუქრება.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემდეგნაირად:

	2021	**2020**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	29 427 003	23 466 907
გაცემული სესხები	7 677 148	68 507
ფული საბანკო ანგარიშებზე	8 530 374	24 063 997
სულ საკრედიტო რისკი	**45 634 525**	**47 599 412**

22. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. მისი მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2021		
ვალუტა	**მონეტარული ფინანსური აქტივები**	**მონეტარული ფინანსური ვალდებულებები**	**წმინდა სავალუტო პოზიცია**
აშშ დოლარი	11 625 005	12 162 209	-537 204
ევრო	1 161 093	1 534 616	-373 523
რუსული რუბლი	17 439 767	11 153	17 428 614
ჯამი	**30 225 865**	**13 707 978**	**16 517 887**

	2020		
ვალუტა	**მონეტარული ფინანსური აქტივები**	**მონეტარული ფინანსური ვალდებულებები**	**წმინდა სავალუტო პოზიცია**
აშშ დოლარი	10 287 851	5 196 828	5 091 022
ევრო	929 197	1 079 505	-150 307
რუსული	1 257 912	12 038	1 245 874
ჯამი	**12 474 959**	**6 288 371**	**6 186 588**

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. კაპიტალში ინვესტირება და არაფულადი აქტივები არ გაითვალისწინება სავალუტო რისკების შეფასებისას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

	2021	**2020**
ვალუტის გამყარება 20%-ით	-3 303 577	-1 237 318
ვალუტის გაუფასურება 20%-ით	3 303 577	-1 237 318

ეს რისკი გამოთვლილი იქნა მხოლოდ იმ ვალუტებში დენომინირებული ფულადი ნაშთებისთვის, რომლებიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან.

23. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი, რომელიც გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობას ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ ნაშთებზე.

	ზრდა 1 %-ით	**შემცირება 1 %-ით**
მოგება/ზარალი 2020 წელი	-53 644	53 644
მოგება/ზარალი 2021 წელი	-82 895	82 895

მოცემული ანალიზი დამყარებულია დაშვებებზე და საპროცენტო განაკვეთის რეალური ცვლილებები შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული ანალიზისაგან.

24. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი შედგება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივებსა და ვალდებულებებს. როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება გაცვლითი კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

	2021		
	მოკლევადიანი აქტივები	**მოკლევადიანი ვალდებულებები**	**სალდო**
ლარში ნომინირებული	84 150 804	54 795 310	29 355 494
ჯამი	**84 150 804**	**54 795 310**	**29 355 494**

	2020		
	მოკლევადიანი აქტივები	**მოკლევადიანი ვალდებულებები**	**სალდო**
ლარში ნომინირებული	70 854 739	37 865 823	32 988 916
ჯამი	**70 854 739**	**37 865 823**	**32 988 916**

25. სასამართლო დავები

კომპანიასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა არცერთი მიმდინარე დავა სასამართლოში. რაც შეეხება მოსალოდნელ სასამართლო დავებს, მსგავსი სამართლებრივი რისკის მატარებელი საკითხი ხელმძღვანელობის აზრით არ იკვეთება.

26. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

2021 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39, ფასს 7 და ფასს 16);
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებები (შესწორება - ფასს 16)

კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით ქვემოდ მოცემული კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

27. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.

შპს ასკანელი ძმების

მმართველობითი ანგარიშგება

და

2021 წლის საქმიანობის მიმოხილვა

თან ერთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის

მოსაზრება

3 ოქტომბერი 2022

Grow Consulting

შპს გროუ კონსალტინგი
ო. ლორთქიფანიძის 2დ

თბილისი, საქართვლო
ელ-ფოსტა info@growc.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს ასკანელი ძმების მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ასკანელი ძმები"-ს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს „ასკანელი ძმები"-ს მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „ასკანელი ძმები". კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობითი ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

გროუ კონსალტინგი

ირმა ხაჩიძე

მმართველი პარტნიორი

2022 წელი, თბილისი, საქართველო



შპს „ასკანელი ძმები“

მმართველობითი ანგარიშგება - ბიზნესის მიმოხილვა 2021 წ.

1. კომპანიის ისტორია, განვითარება და პოზიცია ბაზარზე

ზოგადი ინფორმაცია: კომპანია "ასკანელი ძმები" დაფუძნდა 1998 წელს. მისი ძირითადი საქმიანობაა ალკოჰოლური სასმელების (ღვინო, ბრენდი და ჭაჭა) წარმოება. "ასკანელი ძმები" ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა საქართველოში, რომელიც წარმატებით ვითარდება და უკვე 30 მდე ქვეყანაში გააქვს საკუთარი პროდუქცია ექსპორტზე. ადგილობრივ ბაზარზეც და ექსპორტის შემთხვევაშიც პროდუქციის რეალიზაცია ხდება ოფიციალური დისტრიბუტორების მეშვეობით. თითოეულ ქვეყანაში კომპანიას თავისი პარტნიორი დისტრიბუტორი ყავს, რომელთან ერთადაც ხდება ბაზრის კვლევა, ახალი პროდუქტების დანერგვა, გაყიდვების ყოველთვიური და კვარტალური გეგმების შემუშავება, პროდუქციის რეკლამირებისა და ბრენდინგისთვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა. პარტნიორთა დახმარებით ხორციელდება სხვადასხვა ტრენინგები და სემინარები, რათა კომპანიამ უკეთ გაიცნოს მომხმარებლის სურვილები და მოთხოვნილებები.

კომპანია "ასკანელი ძმები" არის კომპანია, რომელიც მუდმივად ფიქრობს მომხმარებლისათვის ახალი და მაღალხარისხიანი პროდუქტების შეთავაზებაზე, ასევე კომპანიის როგორც ორგანიზაციის განვითარებაზე, ინერგება მენეჯმენტის თანამედროვე სისტემები, ახალი ტექნოლოგიები და სხვა.

"ასკანელი ძმები"-ს მისიაა გააგრძელოს და განავითაროს მეღვინეობისა და მეღვინეობასთან დაკავშირებული ალკოჰოლურ სასმელების ინდუსტრიის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია.

შპს „ასკანელი ძმები"-ს სამარკო ნიშანი ის განმასხვავებელი ნიშაა, რითაც ბრენდი ცნობილია მსოფლიო ბაზარზე. საქართველოს ბაზარზე შექმნილი ძლიერი კომპანიის სახელი „ასკანელ ძმებს" ხარისხისა და პროფესიონალიზმის სინონიმად აქცევს.

კომპანიის მმართველ გუნდს ამ ინდუსტრიაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნია. მენეჯმენტი 100%-ით ჩართულია ყოველდღიურ ოპერაციებში, რაც საშუალებას აძლევს მათ საოპერაციო დონეზე მოახდინონ რეაგირება სხვადასხვა დაუგეგმავი გარემოების წარმოშობის შემთხვევაში.

პროგრესის მიზეზები:

პროდუქციის ხარისხი - კომპანიის პროდუქცია სტაბილურად იღებს მაღალი კატეგორიის ჯილდოებს სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსზე და პოპულარობით სარგებლობს ალკოჰოლური სასმელების პროფესიონალთა თუ უბრალო მომხმარებლებს შორის.

შემოსავლები - უკანასკნელი წლების განმავლობაში შემოსავლები განუხრელად იზრდება თითქმის ყველა ძირითად პოზიციაზე. შემოსავლების მატებას ხელი შეუწყო ახალი პროდუქტების გამოშვებამაც. კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის სამუშაოები ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით.

კომპანიის შემოსავლების უდიდესი წილი _ 96% ექსპორტზე მოდის. ღვინის და ბრენდის წილი ჯამურ გაყიდვებში თითქმის თანაბარია.

2020-21 წლებში ქართული ღვინის ექსპორტის 16%-იანი ზრდა დაფიქსირდა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით 2021 წელს ექსპორტზე 107 მლნ. ბოთლი ღვინო გაიყიდა. კომპანია „ასკანელი ძმების“ მიერ ექსპორტირებული ღვინის მოცულობაც მნიშვნელოვნად _ 55%-ით გაიზარდა _ 4,0 მლნ. ბოთლი 2020 წელს და 6,2 მლნ. ბოთლი 2021 წელს.

კომპანიის წილი მნიშვნელოვანია ქართული ბრენდის ექსპორტის მოცულობაშიც. 2021 წელს 42,2 მლნ. ბოთლი ბრენდის ექსპორტი განხორციელდა, მათ შორის 5,3 მლნ. ბოთლი ექსპორტირებულია შპს „ასკანელი ძმების“ მიერ.

კომპანია ბაზარზე წარმოდგენილია როგორც დაცული ადგილწარმოშობის და სხვადასხვა ჯიშის ყურძნის ღვინოების, ასევე ბრენდის და ჭაჭის ფართო ასორტიმენტით და რამდენიმე სავაჭრო ნიშნით. კომპანიის წარმოებული ღვინის სახეობებია: მუკუზანი, წინანდალი, ახაშენი, ქინძმარაული, ხვანჭკარა, ტვიში, ჩხავერი, ხიხვი, ქისი, ცოლიკაური, მანავი, ქვევრის რქაწითელი. ბრენდებიდან აღსანიშნავია VS, VSOP, XO. 2021 შპს „ასკანელი ძმებმა“ დაიწყო ცქრიალა ღვინის წარმოება. მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში იცნობენ კომპანიის პროდუქციას, წარმოებულს სავაჭრო ნიშნებით: ასკანელი, არტვაინი, დორა, გალავანი, არაგველი, დარეჯანი, გიდელი.

2. განვითარების გეგმები

კომპანიის კორპორაციული სტრატეგია საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირებული იმიჯისა და სტრატეგიის შემუშავებაა, რაც მოიცავს როგორც გრძელვადიან სტრატეგიულ დაგეგმარებას, ასევე ოპერატიული ამოცანების ისე განსაზღვრას, რომ ისინი შეესატყვისებოდეს გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებს. კომპანიის ფილოსოფიას წარმოადგენს ქართული და გამორჩეული ხარისხის პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია.

2022 წლისთვისაც დაგეგმილია დამატებით ახალი მანქანა-დანადგარებისა და ინოვაციური სისტემების შეძენა/დანერგვა. ასევე ახალი ბაზრების ათვისების მიზნით - სანდო და პროფესიონალი დისტრიბუტორების მოძიება და მათთან გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარება.

3. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

2020 წლიდან კომპანია ადგილობრივ ბაზარზე დისტრიბუციას საკუთარი რესურსით ახორციელებს. რეგიონალური დისტრიბუციის ოფისები წარმოდგენილია თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში.

4. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2020-2021 წლების ფინანსური მაჩვენებლებიდან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდა მიუხედავად ბაზარზე არსებული გამოწვევებისა.

საერთო მოგების კოეფიციენტი სტაბილურად **34%**-ის ფარგლებში შენარჩუნდა. ფინანსური შინაარსის ოპერაციებიდან მიღებული დადებითი ეფექტი და დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების შემცირება მნიშვნელოვნად განაპირობებს წმინდა მოგების მარჟის ზრდას **17%**-დან **20%**-მდე.

კომპანიის ლიკვიდურობის კოეფიციენტები გაუმჯობესებულია, რაც გამოწვეულია მარაგების და გაცემული სესხების მუხლების ზრდით _ მიმდინარე კოეფიციენტი _ 2018 წ. - **3.3**, 2019 წ. - **2.9**, 2020 წ. – **1.9**, 2021 წ. – **2,11**; სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი _ 2018 წ. - **2.1**, 2019 წ. - **2.9**, 2020 წ. - **1.3**, 2021 წ. – **1,4**; ფულის კოეფიციენტი _ 2018 წ. - **0.008**, 2019 წ. - **0.4**, 2020 წ. - **0,6**, 2021 წ. – **0,2**.

სესხებზე დამოკიდებულება 2021 წელს გაზრდილია, რაც გამოწვეულია საბრუნავი საშუალებების მიზნობრიობის სესხის აღებით, რომელიც კომპანიამ რთველის ფინანსირებისთვის გამოიყენა. წინა წლებში შპს „ასკანელი ძმები“ რთველში არ მონაწილეობდა.

ვალის აქტივებთან და ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტები.:

2017წ. - **0.34**, 2018 წ. - **0.25**, 2019 წ. - **0.13**, 2020 წ. – **0.06**, 2021 წ. – **0.28**.

2017წ. - **0.66**, 2018 წ. - **0.45**, 2019 წ. - **0.21**, 2020 წ. – **0.13**, 2021 წ. – **0.64**.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სიტუაციისა კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა 2021 წლის განმავლობაში არ შემცირებულა.

5. რისკების მიმოხილვა

<u>საკრედიტო რისკი.</u> საკრედიტო რისკი კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას გულისხმობს. პროდუქტების რეალიზაციისას კომპანიების ნაწილთან მიღწეულია საბანკო გარანტიით თანამშრომლობა, ნაწილთან - ფაქტორინგით, სხვებთან დამოკიდებულებაში ძირითადად მუშაობს წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ნდობის ფაქტორი. საეჭვო ვალების და მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია მუშავდება და კონტროლდება გაყიდვების სამსახურის, საფინანსო და იურიდიული სამსახურების მეშვეობით.

<u>პროდუქციის რისკი.</u> რისკები ხშირად დაკავშირებულია პროდუქციის დაზიანებასთან (შუშა და მისი ტრანსპორტირება), სითხის ბოთლიდან გაჟონვა და ა.შ. კომპანიის ხარისხის მართვის სამსახური მნიშვნელოვნადაა ჩართული პროდუქციის რისკების გამოვლენასა და მართვაში.

<u>სავალუტო რისკი.</u> არსებულ პირობებში რისკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა სავალუტო რისკი - ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო არსებობს პოტენციური ზარალის რისკი, რაც გამოწვეულია პროდუქციის საწარმოებელი კომპონენტების (რაც ძირითადად იმპორტირებულია) გაძვირებით. თუმცა, კომპანიის რეალიზაციების დაახლოებით 96% საექსპორტო გაყიდვებია და შესაბამისად ფასები ძირითადად ნომინირებულია მყარ ვალუტებში _ აშშ დოლარსა და ევროში. ზემოაღნიშნული საიმედოდ აზღვევს კომპანიის სავალუტო რისკებს.

<u>სხვა რისკები.</u> არსებობს არასტაბილური პოლიტიკური გარემოს შექმნის რისკიც, რაც არ არის კომპანიაზე დამოკიდებული.

ფინანსური დირექტორი

ვაჟა გუჯაბიძე